სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ სიმონიშვილის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (2023-2024)

2021 წლის 03 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრი.

აღნიშნული პერიოდიდან დღემდე დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა ჩატარებულ სხდომას. ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. კომისიის 12 სხდომიდან დასწრებული ვარ 9 სხდომას.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან, აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ანაგაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

სოფელში დიდწილად გადაიჭრა მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მწვავდებოდა ზაფხულის თვეებში. თითქმის დასრულდა 2020 წელს დაწყებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასმელი წყლის ცენტრალიზებულად მიწოდებას. დამონტაჟდა მრიცხველები, მოეწყო ორი ჭაბურღილი, აშენდა ერთი 500 ტონიანი და გარემონტდა მეორე, 1000 ტონიანი რეზერვუარი. პრობლემაა, რომ ,,მთავარანგელოზის" გზაზე მოწყობილ ბურღს არა აქვს საკმარისი დებეტი, ვერ ივსება აღნიშნული 500 ტონიანი რეზერვუარი და ნაწილ უბნებს წყალი მიეწოდება გრაფიკით (შეფერხებით) განსხვავებით იმ უბნებისგან, რომელიც მარაგდება 1000 ტონიანი რეზერვუარით. აღნიშნული იწვევს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას. დაგეგმილია უახლოეს მომავალში მეორე ბურღის მშენებლობა, რაც მოხსნის ამ პრობლემას.

დამთავრდა ,,მთავარანგელოზის" გზაზე ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა, თუმცა ამ მხრივ სამწუხაროდ ძალიან ჩამოვრჩებით მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს. ტენდერზე გამოტანილია ,,გონაშვილის" ქუჩის მოწყობის პროექტი და, დაპროექტებულია ,,გარაჟების" უბნის გზა, რომელიც უახლოეს მომავალში გავა ტენდერზე. ამასთან რთული რელიეფური პირობებისა და ხშირი ღვარცოფული

ვ. სიმონიშვილი /ვ. სიმონიშვილი/

წვიმების გამო, დიდი პრობლემები ექმნება შიდა საუბნო გზებს, რომელთა წესრიგში მოყვანას დრო და შესაბამისი მძიმე ტექნიკა ჭირდება. ანალოგიური პრობლემებია სავარგულებთან მისასვლელ გზებზეც, თუმცა სავარგულებთან მისასვლელი რამდენიმე ძირითადი გზა შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა.

სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლეობის მოთხოვნით, რამოდენიმე უბანში ეწყობა გარე განათება, რაზეც იხარჯება 20000 ლარი. აღნიშნულის შემდეგ განათების გარეშე დარჩება მხოლოდ რამოდენიმე უბანი.

სოფელ ანაგისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგახსნილ წნორი-ბაკურციხის გზას. რომლის დამთავრების შემდეგ სოფელი განიტვირთა დიდი ტევადობის სატვირთო ავტომანქანების მოძრაობისაგან, რაც ვიწრო ცენტრალური გზისა და რთული რელიეფური მდგომარეობის გამო ბევრ პრობლემას ქმნიდა..

ყოველდღიური, ინტენსიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან. მოსახლეობას შეძლებისდაგვარად ვეხმარები საყოფაცხოვრებო და სხვა მიმდინარე პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი: ვ. სიმონიშვილი. /ვ.სიმონიშვილი/
09.10.2024 წელი.